

## იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტების მიმოხილვა

ბიორბიგობიპარიძე\*

**1. საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს: „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტებს**

აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნის სამენარმეო გარემოს ლიბერალიზაციას და შეამციროს კანონმდებლობით განსაზღვრული ის მოთხოვნები, რაც ზოგჯერ მენარმეთა საქმიანობის შეფერხების საფუძველი შეიძლება გახდეს. საუბარიც კი ზედმეტია, რომ სამენარმეო საქმიანობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის ძლიერებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტია. ჯანსაღი სამენარმეო გარემოს შესაქმნელად კი, თავის მხრივ, აუცილებელია: სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა მძლავრი სისტემის ჩამოყალიბება, მენარმეობისათვის შეძლებისდაგვარად უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შექმნა, კანონმდებლობის გამარტივება და კანონების ზუსტად და ნათლად ინტერპრეტირება.

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი ასევე ასახავს იმ ძირითად პრინციპებს, რაც „საქართველოში სამენარმეო საქმიანობის გაუმჯობესების გზაზე ადმინისტრაციული ბარიერების აღმოსაფხვრელად სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 ივნისის №729 განკარგულებითა და „საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის 2002-2004 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 22 ივნისის №309 ბრძანებულებით არის განსაზღვრული და რომლებიც მოქმედ კანონმდებლობაში გარკვეული კორექტივების შეტანის თაობაზე სათანადო ცვლილებების პროექტის მომზადებას ითვალისწინებენ.

საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული აქტების, საწარმოთა რეგისტრაციის არსებული პრაქტიკის ანალიზის, მენარმეთა და მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების მოსაზრებათა შესაბამისად საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს საწარმოს სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადის შემცირებას შვიდიდან ხუთ დღემდე. აღნიშნული ცვლილება იწვევს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილების შეტანას, რასაც შეეხება „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში წარმოდგენილი დამატებებით დეტალურად განისაზღვრება საწარმოთა რეგისტრაციაზე უარის თქმის როგორც ზოგადი, ასევე ფაკულტატიური საფუძველები, ჩამოთვლილია კონკრეტული გარემოებები. კანონში შესაბამისი დებულებების არსებობა ბევრად შეუწყობს ხელს მენარმეებს, დაიცვან თავიანთი უფლებები საწარმოს რეგისტრაციაზე დაუსაბუთებელი უარისაგან.

\*საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი.

ცვლილებები ამარტივებს სანარმოთა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილების პროცედურას და, შესაბამისად, მცირდება ამისათვის დადგენილი ვადები. ლიკვიდირებული საზოგადოების ქონების განაწილების ვადა მცირდება სამ თვემდე იმ შემთხვევისათვის, როდესაც ცნობილია ლიკვიდირებული საზოგადოების კრედიტორების ვინაობა და მათ საზოგადოების ლიკვიდაციის თაობაზე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14.2 მუხლის შესაბამისად ორჯერ გაეგზავნათ სპეციალური შეტყობინება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც კრედიტორების ვინაობა ან საცხოვრებელი ადგილი ცნობილი არ არის, ქონების განაწილების პროცესი დაიწყება ექვსი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც ისინი საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით ორჯერ იქნენ გამოძახებულნი.

პაკეტის შესაბამისად, გათვალისწინებულია ცვლილებების შეტანა „სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმებში, რომლებითაც დადგენილია სანარმოს რეგისტრაციასთან დაკავშირებით დაწესებული მოსაკრებლების განაკვეთები. წარმოდგენილი პროექტით ხდება სანარმოთა რეგისტრაციისათვის დადგენილი ტარიფების შემცირება პროპორციულად სანარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გათვალისწინებით და მისი ოპტიმიზაცია რეგისტრაციის განხორციელებასთან დაკავშირებით განეული მომსახურების რეალურ ღირებულებასთან. აღნიშნული შეამცირებს სამენარმეო საქმიანობის დაწყებისათვის გასაწევ ხარჯებს და, შესაბამისად, მენარმეთათვის გარკვეული ფინანსური შეღავათების საფუძველი გახდება.

**2. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“**

აღნიშნული პროექტის მომზადების აუცილებლობა განპირობებული იყო კანონმდებლობაში არსებული იმ ხარვეზის აღმოფხვრის აუცილებლობით, რომელიც დაკავშირებულია არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფილიალების საქმიანობის სამართლებრივ რეგლამენტაციასთან.

სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილით ყალიბდება იურიდიული პირის ფილიალის დეფინიცია, როგორც იურიდიული პირის განცალკევებული ქვედანაყოფისა, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ და მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს, ან ახორციელებს მის ფუნქციებს. ამასთან, კოდექსით არ არის დარეგულირებული იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის საკითხი. მართალია, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-16 მუხლმა გაითვალისწინა სამენარმეო (კომერციული) იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის წესი, თუმცა არაკომერციული იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის საკითხი ღიად დარჩა.

1997 წლის 25 ნოემბრამდე უცხო ქვეყნის საზოგადოებრივი გაერთიანებების ფილიალების საქართველოში რეგისტრაციის საკითხი რეგულირებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 17 მაისის №372 დადგენილებით. თუმცა იგი წინააღმდეგობაში მოვიდა სამოქალაქო კოდექსთან ამ უკანასკნელის ამოქმედების შემდეგ.

წარმოდგენილი პროექტით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლი (იურიდიული პირის ფილიალი) ყალიბდება ახალი რედაქციით. მას ემატება რიგი ნაწილებისა, რომლებიც შეიცავს არაკომერციული იურიდიული პირების, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნების არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფილიალების (წარმომადგენლობების), რეგისტრაციასთან დაკავშირებულ დებულებებს. წარმოდგენილი დამატებების გათვალისწინებით კავშირის (ასოციაციის) ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციას მისი ადგილმდებარეობის მიხედვით ახორციელებს შესაბამისი სასამართლო, ხოლო ფონდისა და უცხო ქვეყნების არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფილიალებისას (წარმომადგენლობების) — საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლში წარმოდგენილი დამატებები ასევე მოიცავს იმ აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც წარდგენილი უნდა იქნეს იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის. კერძოდ, ეს გახლავთ: დამფუძნებელი იურიდიული პირის მმართველობის ორგანოს გადანყვეტილება ფილიალის (წარმომადგენლობის) შექმნის შესახებ; დამფუძნებლის წესდების სანოტარო წესით დამონმებული ასლი; დამფუძნებლის სანოტარო წესით დამონმებული რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი; ფილიალის დებულება; გადანყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ და მინდობილობა პირისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. ამასთან, პროექტის მიხედვით, განსხვავებული მოთხოვნები წაეყენება უცხო ქვეყნის არასამწარმო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფილიალებს (წარმომადგენლობებს) რეგისტრაციისას. კერძოდ, რეგისტრაციისას მათი დებულება და დამფუძნებელი იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთის ასლი მოითხოვება იმ შემთხვევაში, თუ ასეთის არსებობას ითვალისწინებს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა.

პროექტის მიხედვით, გადანყვეტილება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ მიიღება განცხადების შეტანიდან და რეგისტრაციისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. თუ ამ ვადაში გადანყვეტილება არ იქნა მიღებული, ფილიალის რეგისტრაცია განხორციელდება ჩაითვლება.

კანონპროექტით განსაზღვრულია ვადა, რომლის განმავლობაშიც ამ კანონის ამოქმედებად შექმნილი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კავშირებისა და ფონდების ფილიალები ექვემდებარებიან სავალდებულო რეგისტრაციას შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე რეგისტრირებული არასამწარმო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალებს (წარმომადგენლობებს) სარეგისტრაციო მოსაკრებელი არ გადაეხდებიან.

აღნიშნული კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ მუხლში არსებული იმ სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრას, რაც გამოვლინდა მისი ამოქმედების შემდგომ. კერძოდ, ცვლილებები ეხება ვალის გადაკისრებისას უზრუნველყოფის საშუალებათა შეწყვეტის მუხლს (206-ე მუხლი). მუხლის არსებული რედაქციით, ვალის გადაკისრებისას წყდება მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთი საშუალებები, როგორცაა თავდებობა და იპოთეკა, თუკი თავდები ან დამგირავებელი უარს არ იტყვის ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. მუხლის რედაქცია არასწორად იყო ფორმულირებული, ვინაიდან თავდებობა და გირავნობა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე.

კანონპროექტი გვთავაზობს ცვლილებას სამოქალაქო კოდექსის 298-ე მუხლში, რომელიც ეხება იპოთეკის დროს მესამე პირის უფლებების დაცვას, რაც ხორციელდება მესამე პირის მიერ მოთხოვნის დაფარვით და ამ გზით იპოთეკის საკუთარ თავზე გადატანით. ხარვეზი იყო ის, რომ მესამე პირის უფლებების დაცვა ხორციელდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირის მდგომარეობა იპოთეკის რეალიზაციის შედეგად უკვე გაუარესდა და არა მაშინ, თუკი მესამე პირის მდგომარეობა გაუარესდებოდა მომავალში იპოთეკის (ქონების) რეალიზაციისას.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 428-ე, 680-ე, 714-ე, 984-ე და 988-ე მუხლების, რომლებიც ანესრიგებენ ვალდებულების შეწყვეტის, გადაზიდვა-გადაყვანის, დავალებისა და უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებულ საკითხებს, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით დახვეწასა და შინაარსობრივ გამართვას.

მოცემული ცვლილებები და დამატებები 2002 წლის 28 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

**3. საკანონმდებლო პაკეტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ“**

აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი მომზადებულია „საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 მაისის №240 ბრძანებულების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო აქტების მოთხოვნათა მიხედვით საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას.

საკანონმდებლო პაკეტის მიზანია, კონსტიტუციის, ადამიანის უფლებებზე საერთაშორისო აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების უზრუნველსაყოფად, განსაზღვროს შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმები. ამ თვალსაზრისით, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება რამდენიმე ახალი დანაშაულის შემადგენლობა. სახელდობრ:

1) კოდექსის 142-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისათვის – რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე ნოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო. ამასთან, კოდექსი არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქმედებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდებას, ეროვნული პატივისა და ღირსების შელახვას, ანდა რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების შეზღუდვას.

სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე თავს (დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ) ემატება ახალი 142<sup>1</sup>-ე მუხლი – რასობრივი დისკრიმინაცია, რომლის რედაქცია ჩამოყალიბდა „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციით განსაზღვრული „რასობრივი დისკრიმინაციის“ ცნების შესაბამისად. (აღნიშნული კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს). აღნიშნული მუხლის მიხედვით, რასობრივ დისკრიმინაციად მიიჩნევა ქმედება ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდებას, ეროვნული პატივისა და ღირსების შელახვის მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით უპირატესობის მინიჭება.

მუხლი შედგება სამი ნაწილისაგან და მკვალიფიცირებულ გარემოებებზე მიჩნეულია იგივე ქმედება, თუ იგი ჩადენილია: სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; პირთა ჯგუფის მიერ; რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. ამგვარი დანაშაულებრივი ქმედებისათვის სასჯელი განისაზღვრება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე, ქმედების ხასიათისა და გარემოებების შესაბამისად.

2) სისხლის სამართლის კოდექსს ემატება ახალი 142<sup>2</sup>-ე მუხლი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შეზღუდვა. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ, ვინაიდან „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონით განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, ასევე გარკვეულ პირთა წრის მიმართ დადგენილია კონკრეტული ვალდებულებები ამ უფლებათა რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, მაშინ როცა მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ ნორმებს ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის თაობაზე. თუმცა კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია ისჯება კანონით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტით წარმოდგენილი 142<sup>2</sup>-ე მუხლის თანახმად, ინვალიდობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების შეზღუდვა, ესე იგი ამ პირისათვის კანონით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმა, რამაც არსებითად ხელყო ამ პირის უფლება, წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე მიჩნეულია აღნიშნული ქმედების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის, ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენებით ჩადენა, აგრეთვე ასეთი ქმედებით მძიმე შედეგის გამოწვევა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას ემსახურება დამატებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. კოდექსს ემატება 178<sup>1</sup>-ე და 178<sup>2</sup>-ე მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ასეთი პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდებისა და ობიექტების დაპროექტებისა თუ მშენებლობისას მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებლობისათვის. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, აგრეთვე, თავისუფალი გადაადგილებისათვის აუცილებელი პირობების შექმნისაგან თავის არიდება გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500 ლარამდე, ხოლო დასახლებული პუნქტების დაპროექტება და განაშენიანება, საცხოვრებელი რაიონების ფორმირება, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავება, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობა და რეკონსტრუქცია ამ ობიექტების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი მისადაგების გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე.

3) სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტით კოდექსს ემატება ახალი დანაშაულის შემადგენლობა – ადამიანის ტრეფიკინგი.

ადამიანით ვაჭრობა მისი ექსპლუატაციის მიზნით საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ სერიოზულ და ყველაზე გავრცელებულ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელსაც დამნაშავეისათვის მცირე რისკის ფასად უდიდესი მოგება მოაქვს. სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწლიურად იზრდება რიცხვი იმ ადამიანებისა, რომლებიც ექსპლუატაციის მიზნით კონტრაბანდის გზით გადაჰყავთ სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ისინი ფაქტობრივად მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ შორის, როგორც წესი, უმეტესობა ქალები და არასრულწლოვნებია, რომლებსაც მოტყუებით, გადაბირებით, გატაცებით, მოსყიდვით თუ ძალადობის სხვა ფორმების გამოყენებით ყიდვიან პროსტიტუციაში ჩაბმისა და სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვალსაზრისით ძირითად დონორებად ითვლებიან პოსტსაბჭოური ქვეყნები, რაც გამოწვეულია ამ ქვეყნებში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობითა და დასაქმების სისტემის მოუწესრიგებლობით.

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანით ვაჭრობა ტრანსნაციონალურ დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, კანონპროექტის მომზადებას საფუძვლად დაედო „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია და მისი მეორე დამატებითი ოქმი – „ადამიანთა, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით, ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ“. აღნიშნული ოქმის მე-5 მუხლის შესაბამისად, ყველა წევრმა ქვეყანამ უნდა განხორციელოს ისეთი სამართლებრივი და სხვა სახის ზომები, რათა სისხლისსამართლებრივად დასჯადი გახდეს წინამდებარე ოქმით განსაზღვრული ქმედებები, როდესაც მათი ჩადენა ხდება წინასწარი განზრახვით.

„ადამიანთა, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით, ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯის“ ოქმის მე-3 მუხლის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდეს როგორც ადამიანის ტრეფიკინგი, საჭიროა სახეზე

იყოს გარკვეულ დანაშაულებრივ ქმედებათა ერთობლიობა: პირველი, ქმედება უნდა გამოიხატოს პიროვნების გადაბირება, გადაყვანა, გადამალვასა ან მიღებაში; მეორე, ქმედება ჩადენილი უნდა იქნეს დაშინებით ან სხვა სახის ძალადობით – გატაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან შექმნილი სიტუაციის ბოროტად გამოყენებით, მოსყიდვით, რათა მიღებულ იქნეს პიროვნებისაგან თანხმობა, მოექცეს სხვა პიროვნების კონტროლის ქვეშ; მესამე, ქმედების მიზანი უნდა იყოს პიროვნების ექსპლუატაცია. ექსპლუატაციად ჩაითვლება ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში თუ პროსტიტუციაში ჩაბმის, სექსუალური ექსპლუატაციის ან სხვა სახის მომსახურების გაწევის, აგრეთვე, ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის თუ ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით.

ადამიანის ტრეფიკინგის დანაშაულებრივი შემადგენლობა სახეზე იქნება მითითებული სამივე ელემენტის არსებობის შემთხვევაში, გარდა იმ გამონაკლისისა, როდესაც მსხვერპლი 18 წელს მიუღწეველი პიროვნებაა. დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასჯადია არასრულწლოვნის ყიდვა ან გაყიდვა, აგრეთვე, მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, მიუხედავად იმისა, გამოყენებული იყო თუ არა მის მიმართ ამ ოქმით გათვალისწინებული იძულების ზომები – მოტყუება, შანტაჟი ან ძალადობა. ზემოაღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილი კანონპროექტით სისხლის სამართლის კოდექსს ემატება 143-ე და 172-ე მუხლები – ადამიანის ტრეფიკინგი და არასრულწლოვნის ტრეფიკინგი.

დანაშაულის ცნება და მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებები ჩამოყალიბდა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანთა, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით, ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯის შესახებ“ ოქმის მიხედვით.

ორივე მუხლი შედგება სამი ნაწილისაგან და მეორე ნაწილის მიხედვით, დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე ითვლება იგივე ქმედება, თუ იგი ჩადენილია: ა) არაერთგზის; ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ; გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; ე) დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ვ) წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის, ანდა დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ. მესამე ნაწილის მიხედვით, დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებებზე ითვლება იგივე ქმედება: ა) ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

რამდენადაც ადამიანით ვაჭრობა ტრანსნაციონალური დანაშაულია, მისთვის პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრაც მოხდა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციის შესაბამისად, რომლის თანახმად, დანაშაულისათვის სასჯელის მინიმალური ზღვარი უნდა იყოს ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, სასჯელთა ზომის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა მომზადებისას, ხოლო მე-12 მუხლის თანახმად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლება ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენისათვისაც კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადოდ.

4) საკანონმდებლო პაკეტი ასევე ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული წამების ცნების – „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ“ – საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ“ საერთაშორისო კონვენციის პირველი მუხლის თანახმად,

„ნამება“ განსაზღვრულია როგორც „ნებისმიერი მოქმედება, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ ზნეობრივს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფოს თანამდებობის პირი ან სხვა ოფიციალური პირი, ან მათი ნაქეზებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით“.

კონვენციის აღნიშნული განმარტების მიხედვით, რამდენადაც „ნამების“ სუბიექტი უნდა იყოს თანამდებობის პირი ან მასთან გათანაბრებული პირი, წარმოდგენილი პროექტით, შესაბამისი ცვლილებები შედის სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე თავში – სამოხელეო დანაშაული, კონკრეტულად კი 335-ე მუხლში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჩვენების მიცემის იძულებისათვის. კერძოდ, შეიცვალა ამ მუხლის სათაური და რედაქცია ჩამოყალიბდა მითითებული კონვენციით გათვალისწინებული ცნების შესაბამისად.

335-ე მუხლის არსებული რედაქციით, განსაზღვრული იყო პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩვენებისა და დასკვნის იძულებისათვის, შესაბამისად, შემოსაზღვრული იყო ასევე პირთა წრე, რომლის მიმართ ვრცელდებოდა ამ ნორმის მოქმედება. პროექტით წარმოდგენილი რედაქციით, აღნიშნულ მუხლს დაემატა პასუხისმგებლობა განმარტების მიცემის იძულებისათვის, დაემატა ასევე მაკვალიფიცირებელი ნიშნები და გაფართოვდა პირთა წრე.

პროექტით წარმოდგენილი ცვლილებებით, მითითებული კონვენციით განსაზღვრული დამამძიმებელი გარემოებების შესაბამისად დაკონკრეტდა ასევე ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი გარემოებები და განისაზღვრა, რომ პასუხისმგებლობა მძიმდება, თუ ქმედება ჩადენილია: ა) სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ან ძალადობის გამოყენების მუქარით; ბ) დაზარალებულის წამებით. ამასთან, გამკაცრდა ამ მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ზომები და დამატებითი სასჯელის სახით დაემატა – თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ხუთ წლამდე ვადით.

**4. „მაკონტროლებელი ორგანოების უფლებამოსილების გამიჯვნისა და კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი**

„სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა სამენარმეო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებისა და მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ერთიანი, უნიფიცირებული წესის დადგენის უზრუნველყოფისათვის, საფუძველი ჩაეყარა მენარმეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. ზემოაღნიშნული კანონის გარდამავალი დებულებები ითვალისწინებდა „მაკონტროლებელი ორგანოების უფლებამოსილების გამიჯვნისა და კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ კანონპროექტის მომზადებას.

„2002 წელს აღმასრულებელ ხელისუფლებაში კანონების პროექტების მომზადების უზრუნველყოფისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 30 იანვრის №89 განკარგულებისა და „ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 აპრილის №430 განკარგულების შესაბამისად, აღნიშნული კანონპროექტის მომზადება იუსტიციის სამინისტროს დაევალა.

წარმოდგენილი კანონპროექტი „სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, კანონის პრინციპების შესაბამისად, მიმართულია, უზრუნველყოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა

სამენარმო საქმიანობის კონტროლის სფეროში. იგი განსაზღვრავს სამენარმო საქმიანობის კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოთა ზუსტ ჩამონათვალს და მათ საკონტროლო კომპეტენციას.

პროექტის შესაბამისად, მაკონტროლებელი ორგანოს შექმნა და საქმიანობა დაიშვება მხოლოდ კანონის საფუძველზე, იკრძალება მაკონტროლებელი ორგანოს მიერ ისეთი სახის კონტროლის განხორციელება, რაც არ გამოიმდინარეობს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებიდან.

პროექტით განსაზღვრულია ის ძირითადი სფეროები, რომლებშიც სახელმწიფო ახორციელებს თავის საკონტროლო ფუნქციას. ესენია: ადამიანის უფლებების დაცვა, მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა, ბუნებრივი და სხვა სახის რესურსების რაციონალური გამოყენება, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, სახელმწიფო ფულადი სახსრების მობილიზება, რაციონალური გამოყენება და ხარჯვა, საფინანსო-ეკონომიკური და საბანკო სისტემის სტაბილურობა, სალიცენზიო და სანებართვო პირობების შესრულების უზრუნველყოფა.

პროექტი ადგენს მაკონტროლებელი ორგანოს მიერ კონტროლის განხორციელების ერთიან წესსა და პროცედურას, რომლის მიზანია ამ სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, კორუფციის შემცირება და მენარმეთა აღჭურვა საკუთარი კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტებით.

სამენარმო საქმიანობის კონტროლი ხორციელდება მოსამართლის სათანადო ბრძანებისა და მის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ადმინისტრაციულ აქტში აუცილებლად უნდა მიეთითოს: კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის (პირების) ვინაობა და დაკავებული თანამდებობა, შესამოწმებელი საწარმოს საიდენტიფიკაციო მონაცემები, კონტროლის განხორციელების მიზანი, სამართლებრივი საფუძველი, აგრეთვე კონტროლის განხორციელების ვადა. კანონპროექტის მიხედვით, კონტროლის ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ იმ პირს (პირებს), რომლებიც მითითებულია მაკონტროლებელი ორგანოს მიერ კონტროლის ღონისძიების განხორციელების შესახებ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში და გააჩნია მაკონტროლებელი ორგანოს მიერ სათანადო წესით გაცემული პირადობის (სამსახურებრივი უფლებამოსილების) დამადასტურებელი დოკუმენტი. კანონპროექტის მიხედვით განისაზღვრა კონტროლის მეთოდები, კონტროლის ცალკეული ფორმები, ასევე განსაკუთრებულ შემთხვევაში კონტროლის განხორციელების წესი.

პროექტის მნიშვნელოვანი სიახლეა თითოეული მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელის მიერ შესამოწმებელი საწარმოს წარმომადგენლისათვის გადასაცემი დოკუმენტის ფორმის დამტკიცების ვალდებულება, რომელიც შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას შემოწმების პროცესში მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი შემოწმების დაწყებამდე გადაეცემა მენარმეს. პროექტის ნოვატია ასევე, მაკონტროლებელ ორგანოში კონტროლის ღონისძიებათა აღრიცხვის რეესტრის სავალდებულო წარმოება, რომლის მიზანია, უზრუნველყოს მაკონტროლებელი ორგანოს საქმიანობის საჯაროობა და გამჭვირვალობა.

კანონპროექტი შეიცავს მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირისა და მენარმის უფლება-მოვალეობების ჩამონათვალს. კანონპროექტის მიხედვით, მენარმეს კონტროლის ღონისძიებების განხორციელების პროცესში მაკონტროლებელ ორგანოსთან ურთიერთობისას უფლება აქვს, ისარგებლოს დამოუკიდებელი აუდიტორის, ადვოკატის, ექსპერტის ან სხვა უფლებამოსილი პირის მომსახურებით, პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დასტურდება მენარმის მიერ გაცემული სათანადო რწმუნებით.

კანონპროექტი განსაზღვრავს კონტროლის ღონისძიების განხორციელების შედეგს, რომლის მიხედვით, კონტროლის ღონისძიების განხორციელების დასრულებისას ღონისძიების განმარტაციულებელი მაკონტროლებელი ორგანოს უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ დგება შესაბამისი



## სამართლებრივი ტანდენცია

აქტიორ ეგზემპლარად, რომელშიც აღინიშნება კონტროლის განხორციელების ყველა აუცილებელი რეკვიზიტი, ასევე კონტროლის განხორციელების დროს გამოვლენილი დარღვევების, მათი ხასიათის, დარღვევაზე პასუხისმგებელი პირის თაობაზე მონაცემები. აქტს თან ერთვის კონტროლის განხორციელებისას მოპოვებული დოკუმენტაცია, მათ შორის: პროდუქციის ნიმუშების აღების ოქმები, შესაბამისი გამოკვლევის, ექსპერტიზის დასკვნები, იმ პირთა ახსნა-განმარტებები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა გამოვლენილი დარღვევებისათვის და კონტროლის ღონისძიების განხორციელების შედეგებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები. აქტის ერთი ეგზემპლარი, მოთხოვნის შემთხვევაში კი თანდართული დოკუმენტების ასლებიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელნერილით გადაეცემა მენარმეს.

კანონპროექტი ითვალისწინებს მაკონტროლებელი ორგანოს საფინანსო-მატერიალური უზრუნველყოფის გარანტიებს, რომელთა მიხედვით მაკონტროლებელი ორგანოს ხარჯთაღრიცხვა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხარჯთაღრიცხვაში გამოიყოფა ცალკე მუხლად. ამასთან, ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მაკონტროლებელი ორგანოს მუშაკთა მატერიალური სტიმულირებისა და კონტროლის ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელი ტექნიკური და სხვა მატერიალური საშუალებების შეძენის შესაძლებლობა.

კანონპროექტი ითვალისწინებს მაკონტროლებელი ორგანოს კონტროლის ღონისძიების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირების პასუხისმგებლობას კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ამასთან, მაკონტროლებელ ორგანოს ეკისრება ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში კონტროლის განმხორციელებელი პირის მიმართ გატარებული პასუხისმგებლობის ზომების შესახებ ერთი თვის ვადაში აცნობოს შესაბამის მენარმეს. კანონპროექტის მიხედვით, პირს, რომელიც დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველზე გათავისუფლდება მაკონტროლებელ ორგანოში დაკავებული თანამდებობიდან, გათავისუფლებიდან შწლის მანძილზე ეკრძალება ამ კანონით გათვალისწინებულ მაკონტროლებელ ორგანოში საქმიანობა ან თანამდებობის დაკავება.